

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა
ანდრია რაზმადის მათემატიკის ინსტიტუტი

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
NATIONAL SCIENTIFIC LIBRARY
ANDREA RAZMADZE MATHEMATICAL INSTITUTE

ТБИЛИССКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ
ИМЕНИ ИВАНЭ ДЖАВАХИШВИЛИ
НАЦИОНАЛЬНАЯ НАУЧНАЯ БИБЛИОТЕКА
ИНСТИТУТ МАТЕМАТИКИ А. РАЗМАДЗЕ



ბიობიბლიოგრაფიული სერია „ქართველი მეცნიერები“
Biobibliographical Series “Georgian Scholars”
Биобиблиографическая серия «Грузинские Ученые»

Giorgi Chogoshvili
(1914-1998)

Biobibliography

Чогошвили Георгий
(1914-1998)

Биобиблиография

Tbilisi 2015 Тбилиси

გიორგი ჭოლოშვილი
(1914-1998)

ბიობიბლიოგრაფია

თბილისი
2015

012 (ჭოლოშვილი, გ.) + 016:51+515.1

ჭოლ -70

აკადემიკოს გიორგი ჭოლოშვილის ბიობიბლიოგრაფია მოიცავს 1937-2014 წლებში მასალას: სამეცნიერო შრომებს, პუბლიცისტურ წერილებს, სტატიებს მათემატიკური ტერმინოლოგიის შესახებ, უცხოურ პერიოდიკაში გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომების რეცენზიებს (1970-1980 წწ.), მისი რედაქტორობით გამოცემულ შრომებს, ლიტერატურას მის შესახებ.

ბიობიბლიოგრაფიას წინ უძღვის გიორგი ჭოლოშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის მიმოხილვა და ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები. ერთვის სახელთა ანბანური საძიებელი და ფოტომატანე.

The biobibliography of the academician Giorgi Chogoshvili includes the materials of 1937-2014 years: scientific works, publicist letters, articles on mathematical terminology, reviews of scientific works published in foreign periodicals (1970-1980), works published under his editorship and publications about him.

The biobibliography is prefaced by a review of scientific activities of Giorgi Chogoshvili, dates of his life and activities. Alphabetical indexes of names and photo chronicles are applied.

რედაქტორები: თორნიკე ქადეიშვილი, ირაკლი დარიბაშვილი

ბიბლიოგრაფიული რედაქტორი ნანა ბაღათურია

შემდგენლები: ნუნუ აბუაშვილი, ია დუდუჩავა

დამკაბადონებელი და კომპიუტერული უზრუნველყოფა მარიკა ჯორჯოლიანი

გარეკანის დიზაინი ნინო ხოსრუაშვილი

Editors: Tornike Kadeishvili, Irakli Garibashvili

Bibliographic editor Nana Bagaturia

Authors: Nunu Abuashvili, Ia Duduchava

Prepress and Computer Marika Zhorzholiani

Cover Design Nino Khosruashvili

©ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

©Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press

ISBN

ISSN 2298-0059



შინაარსი
Content

გიორგი ჭოლოშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა	9
A Brief Review of Life and Activities of Giorgi Chogoshvili.....	20
გიორგი ჭოლოშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები	30
The Main Dates of Giorgi Chogoshvili's Life and Activity	32
გიორგი ჭოლოშვილის შრომები.....	34
Giorgi Chogoshvili's Works	34
პუბლიცისტური წერილები.....	44
Publicist Letters	44
სტატიები მათემატიკური ტერმინოლოგიის შესახებ	53
Articles on Mathematical Terminology	53
გ. ჭოლოშვილის რეცენზირებული შრომები უცხოურ პერიოდიკაში	55
Reviews of Scientific Works Published in Foreign Periodicals.....	55
გიორგი ჭოლოშვილის რედაქციით გამოცემული შრომები ..	63
Works Edited by Giorgi Chogoshvili.....	63

ლიტერატურა გიორგი ჭოლოშვილის შესახებ.....	71
Publications about Giorgi Chogoshvili.....	71
საიუბილეო თარიღები.....	81
Jubilee Dates.....	81
მასალები გიორგი ჭოლოშვილის გარდაცვალების გამო	85
Materials about Death of Giorgi Chogoshvili	85
სახელთა საძიებელი.....	86
Index of Names.....	86
ფოტომატიანე	91
Photo Chronicles.....	91

გიორგი ჭოლოშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა

აკადემიკოსი გიორგი ჭოლოშვილი დაიბადა საჩხერეში, ექიმის ოჯახში. სკოლაში სწავლა ქუთაისში დაიწყო, თბილისში დაამთავრა. 1931 წელს გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი. მეორე კურსიდან გადავიდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც სწავლა განაგრძო მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. აქვე იყო ასპირანტი. 1939 წელს მოსკოვის სტეკლოვის სახ. მათემატიკის ინსტიტუტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1939 წლიდან მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტში და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1945 წელს მოსკოვის სტეკლოვის სახ. მათემატიკის ინსტიტუტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

1946 წელს სათავეში ჩაუდგა თსუ ალგებრისა და გეომეტრიის კათედრას, ხოლო 1962 წელს - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტის ალგებრისა და გეომეტრიის განყოფილებას. 1955 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1960 წელს კი აკადემიის ნამდვილ წევრად. სხვადასხვა წლებში დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენითა და სხვა სახელმწიფო ჯილდოებით.

მრავალმხრივი იყო აკად. გიორგი ჭოლოშვილის მოღვაწეობა. გარდა მისი წმინდა სამეცნიერო მოღვაწეობისა, რამაც მას დიდი აღიარება მოუტანა, უაღესად მნიშვნელოვანია მისი პედაგოგიური მოღვაწეობა. მის მიერ დაფუძნებული ქართული ალგებრულ-ტოპოლოგიური სკოლა დღეს ფართოდაა აღიარებული და წარმოდგენილი მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო ცენტრებში. ცალკე გამოყოფის ღირსია მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა. წლების განმავლობაში იგი ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერე-

ბათა აკადემიასთან არსებულ უმაღლესი და საშუალო სკოლების დამხმარე კომისიას, საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში იყო ინიციატორი და ორგანიზატორი საქართველოს უმაღლესი სკოლების მათემატიკოსთა რეგულარული კონფერენციებისა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ხანგრძლივი მოღვაწეობა ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნის საქმეში - ათწლეულების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ბატონი გიორგი ქართული მათემატიკური ტერმინების დამდგენ კომისიას და სათანადო ლექსიკონების გამოცემას. აუცილებლად აღსანიშნავია ისიც, რომ თავისი უცხოეთში მივლინებების დროს ბატონი გიორგი ახერხებდა აღმოეჩინა საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული ცნობები და ამის შესახებაც აქვს მას პუბლიკაციები.

ქვემოთ მოკლედ მოგითხრობთ მისი ამ მრავალმხრივი მოღვაწეობის შესახებ სათანადო ნაკვეთებში.

აკადემიკოს გიორგი ჭოლოშვილის სამეცნიერო - პედაგოგიური
მოღვაწეობა
სამეცნიერო ნაშრომები

1. მორსის თეორია. გიორგი ჭოლოშვილის პირველი ნაშრომები უკავშირდება ე.წ. მორსის თეორიას. კერძოდ, შეისწავლებოდა მრავალნაირობაში დონის ზედაპირთა ტოპოლოგიური თვისებების ცვლილება კრიტიკულ წერტილებზე გადავლისას. ფაქტობრივად მან პირველმა აღწერა ის, რასაც დღეს მორსის გარდაქმნა, ქირურგია ან სფერული მოდიფიკაცია ჰქვია. თუ მარსტონ მორსი აღწერდა დონის ზედაპირის ჰომოლოგიის ცვლილებას, გიორგი ჭოლოშვილმა აღწერა ეს ცვლილება გეომეტრიულ დონეზე. ანალოგიური ცვლილებები აღიწერა ე.წ. ნაკლებ მნიშვნელობათა არეებისთვისაც. ამ ნაშრომებმა შეადგინეს მისი საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც დაიცვა 1936 წელს მოსკოვის სტეკლოვის სახ. მათემატიკის ინსტიტუტში.

2. ორადობის თეორია. გიორგი ჭლოშვილმა განაზოგადა ალექსანდერ - პონტრიაგინის ორადობის კანონი ჯერ n -განზომილებიან სფეროში ჩადგმული მრუდი უსასრულო პოლიედრებისათვის, შემდეგ კი ნებისმიერი დეფორმაციული რექტრაქტებისათვის. აღსანიშნავია, რომ გიორგი ჭლოშვილის ამ ნაშრომებამდე არაფერი იყო ცნობილი თუნდაც n -განზომილებიან სფეროში ღია დისკის დამატების ჰომოლოგიური თვისებების შესახებ, ამ დამატების ბმულობაც კი არ იყო დამტკიცებული. გიორგი ჭლოშვილის ეს შედეგები ამომწურავ ხასიათს ატარებს. ამასთან ერთად ეს შედეგები წარმოადგენენ პირველ ნაბიჯს ორადობის კანონებისაკენ ევკლიდეს სივრცეების ნებისმიერი ქვესიმრავლეებისათვის.

3. კომპაქტურ ჯგუფთა პირდაპირი სპექტრების თეორია. ორადობის ზოგად თეორიაზე სამუშაოდ გიორგი ჭლოშვილი იყენებს მის მიერ განვითარებულ მეთოდს ზოგად სივრცეთა აპროქსიმაციისა შიგნიდან ჩაკეტილი, ხოლო გარედან ღია სიმრავლეებით. ამასთან ერთად მან შექმნა თეორია კომპაქტური ჯგუფების პირდაპირი სპექტრების ზღვრებისა და ამის მეშვეობით შეისწავლა ურთიერთდამატებითი სიმრავლეების ჰომოლოგიების ურთიერთდამოკიდებულება. აღსანიშნავია, რომ გიორგი ჭლოშვილის ნაშრომებამდე ტოპოლოგიურ ჯგუფთა პირდაპირ სპექტრთა ზღვრების დამაკმაყოფილებელი ტოპოლოგიზაცია უიმედო ამოცანად იყო მიჩნეული.

4. ზოგად სივრცეთა ჰომოლოგიის თეორია. წინა ნაკვეთში ნახსენებ კომპაქტურ ჯგუფთა პირდაპირი სპექტრების თეორიის გამოყენებით გიორგი ჭლოშვილმა შექმნა ალგებრული აპარატი არაკომპაქტური სივრცეების ჰომოლოგიის თეორიის ასაგებად და შესაბამისი ორადობის კანონების დასადგენად. ამ მიმართულების პ. ს. ალექსანდროვის, ლ. ა. სიტნიკოვის, ნ. ბერიკაშვილის და სხვათა მომდევნო პერიოდის ნაშრომები არსებითად ეყრდნობიან გიორგი ჭლოშვილის ამ ფუძემდებლურ გამოკვლევებს.

შემდგომ გიორგი ჭოლოშვილმა დეტალურად შეისწავლა ურთიერთდამატებით სიმრავლეთა პ. ს. ალექსანდროვის ჰომოლოგიის ჯგუფები, ააგო და შეისწავლა მათთვის ორადობის ჰომომორფიზმები (რომლებიც პ. ს. ალექსანდროვის მიერ აგებული იყო მხოლოდ ჩაკეტილი სიმრავლეებისათვის).

გიორგი ჭოლოშვილმა ააგო ახალი ჰომოლოგიის ჯგუფები და შეისწავლა მათი კავშირი სხვა ცნობილ ჰომოლოგიებთან. ამ გამოკვლევებმა შეადგინეს მისი სადოქტორო დისერტაცია (1945), მუშაობა ამ მიმართულებით შემდგომ წლებშიც გრძელდებოდა.

გიორგი ჭოლოშვილის გამოკვლევებმა ზოგად სივრცეთა ჰომოლოგიის თეორიაში მას დაუმკვიდრეს საერთაშორისო აღიარება და ავტორიტეტი ტოპოლოგიის ამ დარგში.

სურათის სისრულისათვის მოვიყვანთ რამდენიმე ციტატას ამ დარგის დამფუძნებლის აკადემიკოს პ. ს. ალექსანდროვის მიმოხილვითი სტატიებიდან: „აღსანიშნავია, რომ ჭოლოშვილს ეკუთვნის პირველი ორადობის თეორემა ჩაკეტილი სიმრავლეების შესახებ. ამას გარდა გ. ჭოლოშვილმა განავითარა ჯგუფურ სპექტრთა ახალი თეორია, რამაც მას საშუალება მისცა შეესწავლა და დაეკლასიფიცირებინა არაჩაკეტილ სივრცეთა სხვადასხვა ჰომოლოგიის ჯგუფები, ... რაც გახდა საფუძველი ჩემი ამ გამოკვლევისა. ყველაფერი ეს აჩვენებს, რომ გ. ს. ჭოლოშვილი წარმოადგენს არაჩაკეტილ სივრცეთა ჰომოლოგიის თეორიის პიონერს.“

„სხვადასხვა ტიპის სისტემატური, „სინთეტური“ ჰომოლოგიის ჯგუფების თეორიის აგებაზე წარმატებით მუშაობენ გ. ს. ჭოლოშვილი და მისი მოწაფეები (ნ. ბერიკაშვილი, ხ. ინასარიძე, ლ. მძინარიშვილი და სხვ.). განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ორადობის კანონებს. ჭოლოშვილის მიერ შემოტანილი ერთიან მეთოდის - სივრცის და მისი დამატების ერთდროული აპროქსიმაციის ღია და ჩაკეტილი სიმრავლეების გამოყენებით

მოხერხდა მნიშვნელოვანი განვითარება თავად გ. ჭოდოშვილის, პ. ს. ალექსანდროვის, კ. ა. სიტნიკოვის, ნ. ბერიკაშვილის ადრინდელი შედეგებისა დასხვადასხვა ორადობის კანონების კლასიფიკაციის თითქმის დასრულებამდე მიყვანა.“

ცალკე აღნიშვნის ღირსია 1940 წელს გიორგი ჭოდოშვილის მიერ კომპაქტური ჰაუსდორფის სივრცეებისათვის ახალი ჰომოლოგიის თეორიის აგება, რომლის განმარტება გამოირჩევა თავისი სიმარტივითა და ელევანტურობით. დაწვრილებით ეს თეორია აღწერილია 1951 წლის პუბლიკაციაში. ამ განმარტების მნიშვნელობა მთელი სისრულით გამოჩნდა ნობელინგის ცნობილი შრომის შემდეგ.

5. ზოგადი ტოპოლოგია. გიორგი ჭოდოშვილის ნაშრომთა კიდევ ერთი ციკლი ეძღვნება ზოგად ტოპოლოგიას, კერძოდ ევკლიდური სივრცის კომპაქტურ ქვესიმრავლეთა განზომილების საკითხებს, შემდგომ მოხერხდა უკვე ნებისმიერი ქვესიმრავლეების მეტრული განზომილების დახასიათება. ამ მიმართულებით აღსანიშნავია 1937 წლის ნაშრომში ფორმულირებული ჰიპოთეზა (მას დღეს ჭოდოშვილის ჰიპოთეზას უწოდებენ). ეს ჰიპოთეზა სხვადასხვა პირობებში და სხვადასხვა ფორმულირებებით იყო ფართე განხილვის საგანი ბევრი ავტორის ნაშრომებში დაწყებული 30-იანი წლებიდან დღევანდელ დღემდე, მაგ.: Nobeling, K., Sitnikov, M., Levin, O., Kiguradze, Y., Sternfeld, F., Ancel, T., Dobrowolski, A., Dranishnikov, A.

1941 წლის ნაშრომში გიორგი ჭოდოშვილმა წარმოადგინა აქსიომატიკა კრებადობის სივრცეებისათვის, რომლის მეშვეობით ამ სივრცეთა კატეგორია ტოპოლოგიურ სივრცეთა კატეგორიის ექვივალენტური გამოდის. ადრე არსებული გ. ბირკჰოფის აქსიომატიკა შემოიფარგლებოდა მხოლოდ T_1 - სივრცეებით.

საისტორიო ნაშრომები

უცხოეთში სამეცნიერო მივლინებისას გიორგი ჭოდოშვილი ცდილობდა მოეპოვებინა ცნობები, რომლებიც შეეხებოდა საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის, ქართველური ენების, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის საკითხებს. ამის შედეგია რამდენიმე პუბლიკაცია, რომელთა სათაურები მეტყველებენ მათ შინაარსზე.

Одно известие о Грузии и Кавказе первой трети 14-го столетия // ТГУ, 1968 (საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის არქივი).

О вавилонских математических терминах с точки зрения картвельских языков // Труды конф. по истории науки республик Закавказья. – Тб., 1969. (იხ. N 73).

О некоторых терминах вавилонской математики // Закавказская конференция историков наук: 3-ая. Посвященной 100-летию со дня рождения В. И. Ленина. 20-23 ноября, 1969: Тезисы докладов. – Тб. – 1969. – С. 33-34. (იხ. N74).

შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპირო 1556 წლის ერთი იტალიური რუკის მიხედვით // საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე. – 1972. – ტ. 65, N2. – გვ. 373-376. (იხ. N77).

შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო XVI საუკუნის ორი საზღვაო რუკის მიხედვით // საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე. – 1987. – ტ. 128, № 1. – გვ. 73-76. (იხ. N103).

სხვათა შორის ამ მოგზაურობებიდან ბატონმა გიორგიმ მრავალი ფოტო ჩამოიტანა, კოლეგებიდან ცოტა ვინმემ თუ იცოდა მისი ამ გატაცების შესახებ. მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ, ასი წლის იუბილეზე მოეწყო ფოტოგამოფენა: გიორგი ჭოდოშვილის

100 წელი, ფოტოგრაფიები – ინდოეთი, განა, საბერძნეთი, იტალია, მალტა, 31. 01.2015 გალერეა „კონტაინერი“.

საგანმანათლებლო მოღვაწეობა

პედაგოგიური მოღვაწეობა გიორგი ჭოლოშვილმა ასპირანტურის დამთავრებისთანავე დაიწყო. ჯერ კიდევ ომის წლებში ის კითხულობდა ლექციებს გორის, ქუთაისის, სახუმის პედაგოგიურ ინსტიტუტებში. დიდია მისი ღვაწლი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც მისი ძალისხმევით 1965 წელს დაფუძნდა აუცილებელი კურსი „ალგებრისა და ტოპოლოგიის ძირითადი სტრუქტურები“. ეს იყო პირველი ასეთი კურსი საბჭოთა კავშირის უნივერსიტეტებში, მას ათწლეულების განმავლობაში თავად კითხულობდა ბატონი გიორგი.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მომზადება მის მიერ შექმნილ თსუ ალგებრისა და გეომეტრიის კათედრაზე და მის მიერვე დაარსებულ ა. რაზმადის სახ. მათემატიკის ინსტიტუტის გეომეტრიისა და ტოპოლოგიის განყოფილებაში. სწორედ აქ აღიზარდნენ ბატონი გიორგის ალგებრისა და ტოპოლოგიის მრავალრიცხოვანი სკოლის წარმომადგენლები. ბევრი მათგანი დღეს მოღვაწეობს საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებსა თუ სამეცნიერო დაწესებულებებში, უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებში: კეიპტაუნის (სამხრეთ აფრიკა), ლესტერის (დიდი ბრიტანეთი), სან-ფრანცისკოს და ჩრდილო კაროლინის (აშშ). გიორგი ჭოლოშვილის სკოლის წარმომადგენლები აღიქმებიან თავისი დარგის ლიდერებად მსოფლიოში. მათ შორის არიან ჰუმბოლდტის პრემიის ლაურეატი და სტიპენდიანტები, სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებებისა თუ ინსტიტუციების წევრები: (მაქს პლანკის ინსტიტუტი (გერმანია), თეორიული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრი (იტალია), ამერიკის მათემატიკური საზოგადოება). მიღებული აქვთ გრანტები

საერთაშორისო ფონდებიდან INTAS, ISF, CRDF, Marie Curie Foundation. აკად. გიორგი ჭოლოშვილის სკოლის წარმომადგენლები ღირსეულად აგრძელებენ მის საქმეს.

აკად. ნოდარ ბერიკაშვილი, პროფ. თორნიკე ქადეიშვილი
აკადემიკოს გიორგი ჭოლოშვილის მოღვაწეობა საქართველოს
მეცნიერებათა აკადემიის
საშუალო და უმაღლესი სკოლების კომისიაში

გიორგი ჭოლოშვილი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საშუალო და უმაღლესი სკოლების კომისიის თავმჯდომარე დღიდან მისი დაარსებისა.

აკადემიის სისტემის დაწესებულებებში რეგულარულად გროვდებოდა გამონთავისუფლებული ლაბორატორიული მოწყობილობა, რომლის გამოყენება მიზანშეწონილი იყო სასწავლო და თვალსაჩინოების მიზნებისათვის. გროვდებოდა აგრეთვე სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურა. შემდგომ ხდებოდა ყოველივე ამის დახარისხება, დაკომპლექტება და შესაბამის სასწავლო დაწესებულებისათვის მიწოდება. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ცენტრიდან მოშორებული რაიონების სკოლებს - მაგალითად ასეთები იყო მესტიის, ივარისა და ლატალის (სვანეთი), ბუგეულის (რაჭა), არგვეთას (იმერეთი), ლაგოდეხის, კახის და ა.შ. სკოლებს. კომისია ყოველწლიურად აჯამებდა აკადემიის ცალკეული დაწესებულებების მიერ გაწეულ ამგვარ მუშაობას მთელი საქართველოს მასშტაბით.

კომისიამ განახორციელა ყველა არსებული საშუალო სკოლის სახელმძღვანელოს რეცენზირება აკადემიის პრეზიდიუმის შესაბამისი განყოფილებების მიერ გამოყოფილი რეცენზენტთა ჯგუფების მიერ. იმისათვის, რომ რეცენზენტებს შეძლებოდათ გაეთვალისწინებინათ არსებული საერთაშორისო დონე, კომისიამ შეიძინა და რეცენზენტებს გადასცა ევროპული და აშშ-ის გავრცელებული სახელმძღვანელოები. გ. ჭოლოშვილის მიმართვა კოლეგებისადმი ასეთი იყო: „მვირფასო აკადემიკოსებო, ალბათ

ყოველივე თქვენთაგანს ქონია შემთხვევა, როდესაც შვილიშვილებს მოუმართავთ თხოვნით დაეხმაროთ საშინაო დავალების შესრულებაში და სწორედ ამ დროს აღშფოთებულხართ არსებული სახელმძღვანელოს გამო. ჰოდა აი ახლა გამოხატეთ ეს აღშფოთება, განიხილეთ ეს სახელმძღვანელო ყოველნაირად – მეთოდოლოგიურად, მასალის აქტუალურობის, მისი გადმოცემის, ენობრივი და ა.შ. თვალსაზრისით. აქვე ხელთ გაქვთ შესადარებლად მსოფლიოს საუკეთესო უცხოური სახელმძღვანელოები“. რეცენზიების განხილვა ხდებოდა სპეციალისტების ფართო აუდიტორიაში და ეს პროცესი სრულიად არაფორმალური იყო. საბოლოო ჯამში ეს რეცენზიები, შესაბამის რეკომენდაციებთან ერთად გადაეცა განათლების სამინისტროს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მუშაობა პროფტექნიკურ სკოლებთან, რაც კომისიას დაევალა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტისა და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ერთობლივი დადგენილებით. მუშაობა ვითარდებოდა პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების, საინჟინრო-პედაგოგიური მუშაკების და საწარმოო სწავლების ოსტატთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების, სასწავლო-საწარმოო საქმიანობაში პროგრესული მეთოდების, მეცნიერების მიღწევათა დანერგვის საკითხების, სასწავლო პროცესის სრულყოფის და ა.შ. მიმართულებით. ხდებოდა პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა გაგზავნა საწარმოო და სასწავლო პრაქტიკაზე აკადემიის დაწესებულებებში. ასეთი თანამშრომლობის მაგალითებია პროფტექნიკური სკოლის მოსწავლეთა მუშაობა ფიზიკის, კიბერნეტიკის, მართვის სისტემების და სხვა ინსტიტუტების ექსპერიმენტულ ბაზებზე, ვანის არქეოლოგიური გათხრების ექსპედიციებში, შიო-მღვიმეს მონასტრის აღდგენით სამუშაოებში.

კომისიის მუშაობის ერთი მიმართულება იყო დაარსება სერიისა "აკადემია-სკოლას" და ამ ეგიდით ბევრი ზოგადსაგანმანათლებლო და დამხმარე სახელმძღვანელოს გამოცემა.

პროფ. მიხეილ ბალავაძე

აკადემიკოს გიორგი ჭოლოშვილის ლექსიკოგრაფიული მოღვაწეობა

20 საუკუნის მეორე ნახევარში უცხო ენებზე გაჩენილი უამრავი მათემატიკური ტერმინის თავმოყრა-გაქართულება დაევა ანდრია რაჭმადის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ბაზაზე დაარსებულ კომისიას, აკადემიკოს გიორგი ჭოლოშვილის ხელმძღვანელობით.

შესაბამისი დადგენილება მიღებული იყო საქართველოს მთავრობის მიერ: უნდა შექმნილიყო ტერმინოლოგიური ფართო კომისიები მათემატიკასა და ეკონომიკაში. 1963 წლიდან მოყოლებული კარგა ხანს, მათემატიკის ტერმინოლოგიურ კომისიაში იყო თავმჯდომარე გიორგი ჭოლოშვილი და წევრის ერთი ადგილი. ამ ერთი წევრის ადგილზე იმუშავა ოთხმა სხვადასხვა ახალგაზრდამ, რომელთაც თავმჯდომარის მიერ შერჩეული უმნიშვნელოვანესი წიგნებიდან ბარათებზე უნდა ამოეწერათ მათემატიკური ტერმინები ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ და რუსულ ენებზე. ასეთი მუშაობა გაგრძელდა 10 წელი.

1973 წელს შეიქმნა მათემატიკური ტერმინოლოგიის დამდგენი ფართო კომისია 30-ზე მეტი წევრის შემადგენლობით. მუშაობა ჩატარდა ეტაპებად. კომისიის თითოეულმა წევრმა მოახდინა თავისი დარგის ლიტერატურული დაფარვა და მოამზადა სათანადო ბარათები ქართული მათემატიკური ტერმინების მითითებით. ეს ბარათები თავს იყრიდა კომისიის მდივანთან,

საიდანაც ორგანიზებულად ეგზავნებოდა სპეციალისტთა შესაბამის ჯგუფებს სხვადასხვა ინსტიტუტ-ლაბორატორიაში.

დაბრუნებულ მასალაზე მუშაობა გრძელდებოდა მათემატიკის ინსტიტუტში და მზადდებოდა ექვსენოვანი ბარათები. იყო შემთხვევები, როცა ერთ ტერმინზე მუშაობა რამდენიმე სხდომას საჭიროებდა, მაგალითად *внутренность* (*внешность*) множества - სიმრავლის **შიგნედი (გარედი)**. არც თუ იშვიათად, საჭირო ხდებოდა პირველადი ტერმინის დადგენა, რომელსაც უპირატესობა ენიჭებოდა რუსულ ტერმინთან მისი განსხვავებისას, (მაგალითად *скрещивающиеся прямые*-**აცდენილი წრფეები** და არა გადაჯვარდინებული წრფეები). ამ მიმე და მომქანცველ სამუშაოს ადრევე განერიდა კომისიის წევრთა უმრავლესობა - განმეორდა ადრინდელი სატერმინოლოგიო ყველა კომისიის „სენი“.

მათემატიკურ ტერმინოლოგიაზე კომისიის მუშაობის მიმდინარეობის შესახებ საქართველოს მათემატიკოსთა რესპუბლიკურ ყრილობებს დროდადრო მოახსენებდა ბატონი გიორგი ჭოლოშვილი.

1996 წელს სამუშაოებში ჩაერთო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ტერმინოლოგიური განყოფილება.

მომზადებული მასალის გამოცემა 1997 წელს მოხერხდა მოკლე (2500 ტერმინი) ექვსენოვანი „ქართულ – ინგლისურ – იტალიურ – ფრანგულ – გერმანულ – რუსული მათემატიკური ლექსიკონი“-ს სახით, ხოლო 2010 წელს გამოიცა „რუსულ-ქართული ლექსიკონი,, 40000 ტერმინით. ამ 459 გვერდიან ლექსიკონში მრავალი ახალი ტერმინია და, გარდა ამისა, დაზუსტებულია და ქართული ენის ნორმების მიხედვითაა გამართული ბევრი ძველი ტერმინი.

პროფ. ომარ ძაგნიძე

A Brief Review of Life and Activities of Giorgi Chogoshvili

Academician Giorgi Chogoshvili was born in the family of physicians, in Sachkhere. He enrolled in secondary school in Kutaisi, but completed it in Tbilisi. In 1931 he became a student of Tbilisi State University. For his second year he moved to Moscow State University where he continued studying in the department of Mathematical-Engineering. He passes post-graduate studies at the same University. In 1939 he defended his dissertation for Candidate of Sciences Degree at Moscow Steklov Mathematical Institute. Since 1939 he had been working at Mathematical Institute of the Georgian Academy of Sciences and Tbilisi State University. He defended doctor's dissertation at Moscow Steklov Mathematical Institute in 1945.

From 1946 he worked as a head of the department of Algebra and Geometry at Tbilisi State University and from 1962 he led the department of Algebra and Geometry at A. Razmadze Mathematical Institute of the Georgian Academy of Sciences. In 1955 he was elected as a correspondent member of the Georgian Academy of Sciences and in 1969 he became a full member of the Academy. He was a bearer of Lenin order and was awarded various prizes for his outstanding academic performances throughout his life.

Academician G. Chogoshvili's activities were diverse. Apart from his scientific activity, which gave him a general acknowledgement, his educational activity is especially remarkable. Nowadays, Georgian School of Algebra and Topology founded by him is acknowledged worldwide and represented in leading scientific and academic centers. It is important to mention his public activity. For years he led the Assistance Committee for Secondary and Higher Education Institutions at the Georgian Academy of Sciences. He initiated and organized regular conferences for mathematicians in various cities of Georgia. It is important to mention his intensive activity for the creation of Georgian

scientific terminology - for decades G. Chogoshvili led the committee working on the identification of mathematical terminology and publication of relevant dictionaries. It is also important to point out that while being abroad he managed to discover significant information related to Georgian history, which he has mentioned in his publications.

You will find below key data about his diverse activities.

Scientific and Educational Activity of Academician
Giorgi Chogoshvili
Scientific Works

1 . Morse Theory. First works of Giorgi Chogoshvili are dedicated to Morse Theory. Particularly he studied the change of topological properties of level surfaces passing through the critical point. In fact, he gave the first description of what now is called Morse Surgery or Spherical Modification. Morse described the change of homological properties of level surface whereas Chogoshvili described this change of geometrical level. These results formed his dissertation for Candidate of Sciences degree, which he obtained from Steklov Mathematical Institute in 1939.

2 . Duality Theory. Giorgi Chogoshvili has generalized the Alexander-Pontriagin duality law first for curved infinite polyhedra embedded into the n -sphere, and afterwards for arbitrary deformation retracts. It must be mentioned that before these works of Giorgi Chogoshvili nothing was known about homological properties of the complement of the open disc imbedded into the n -sphere. Even the **connectivity** of this complement was not proved.

These results actually finalized the topic. **At** the same time they realized the first step for duality laws for arbitrary subsets of Euclidian spaces.

3. Direct specters of compact groups. Working on general duality theory Giorgi Chogoshvili developed the method of approximation of general spaces by open from inside and closed from outside sets. Simultaneously, he has developed the theory of direct spectra of compact groups, which helped him in study of homological properties of complements. It must be noticed that **prior to Chogoshvili's works**, the problem of satisfactory topology of limits of direct spectra was regarded as a unattainable one.

4. Homology theory of general spaces. Using the theory of direct spectra of compact groups, mentioned in previous section, Giorgi Chogoshvili has created algebraic tool for designing of homology theory of noncompact spaces and for resolution of corresponding duality theory. The subsequent works of P.S. Alexandrov, L.A. Sitnikov, N. Berikashvili **are essentially based on** Giorgi Chogoshvili's **above-mentioned** fundamental findings.

Afterwards Giorgi Chogoshvili studied in detail P.S. Alexandrov's homology groups of complement spaces and also determined and studied duality homomorphisms (which **was defined by P.S. Alexandrov** just for closed sets).

Next, Giorgi Chogoshvili defined new homology groups and investigated their relation with other known homologies. The results had formed his doctoral dissertation (1945). His works in this direction were continued in the following years too.

Giorgi Chogoshvilis works in homology theory of general spaces brought him global recognition.

For the completeness we demonstrate some citations from the review papers of P.S. Alexandrov, the founder of this branch.

"It must be noted that the first duality theorem about closed sets belongs to G. Chogoshvili. Besides, he has developed new theory of group spectra, which gave him the possibility to study and classify various homology groups of nonclosed spaces. Exactly this formed the ground for my present research. All this shows that G.S. Chogoshvili is a pioneer of homology theory of nonclosed spaces."

“G.S. Chogoshvili and his collaborators (N. Berikashvili, H. Inassaridze, L. Mdzinarishvili) work successfully on the construction of theory of “synthetic” homology groups focusing on duality laws. Using the method of approximation of a space and its complement simultaneously by open and closed sets, introduced by Chogoshvili, they managed to develop essentially previous results of P.S. Alexandrov, K.A. Sitnikov, N. Berikashvili and G. Chogoshvili, and the problem of classification of various duality laws was almost solved.

The establishment of new homology groups for compact Hausdorff spaces by G. Chogoshvili should be separately noted. This construction is especially simple and elegant. The essence of this definition became evident after Noebeling’s (1951) well-known work.

5. General Topology. One more series of G. Chogoshvili’s works is dedicated to General Topology, particularly to the dimensions of compact subsets of Euclidian spaces. Afterwards, it was managed to characterize metric dimensions of arbitrary subsets too. It must be especially remarked that the hypothesis was formulated in 1937 (which nowadays is called Chogoshvili’s Hypothesis). This hypothesis, in various formulations and various circumstances, was intensively discussed from 30s till present by many authors, such as Nobeling, K. Sitnikov, M. Levin, O. Kiguradze, Y. Sternfeld, F. Ancel,, T. Dobrowolski, A. Dranishnikov.

In 1941, G. Chogoshvili presented the axiomatics for convergence spaces in his works. Using this axiomatics G. Chogoshvili showed that the category of convergence spaces is equivalent to the category of topological spaces. The previous G. Birkhoff axiomatics was restricted by T_1 -spaces.

Historical Works

Being abroad Giorgi Chogoshvili was always trying to find some evidences and facts about Georgian history, geography, Georgian language and Georgian scientific terminology. This has resulted in several publications, the titles of which speak about their content.

One document about Georgia and the Caucasus in the 14th century. //TSU, 1968 (Ref.: Archives of the Georgian National Academy of Sciences. In Russian).

Babylonian Mathematical terms from the view point of Kartvelian languages. 1969. (In Russian See N73).

The north-east coast of the Black Sea according to the Italian Map of 1556. 1972. (In Georgian. See N77).

The south-east coast of the Black Sea according to the two marine maps of the 16th century, 1987 (In Georgian. See N103)

By the way, Giorgi Chogoshvili brought lots of photos (Only a few colleagues knew about his hobby). The exhibition of Giorgi Chogoshvili's photos was organized only after his death, on his 100th anniversary.

Giorgi Chogoshvili's 100 Years, Photographs – India, Ghana, Greece, Italy, Malta, 31.01.2015 - gallery "Container".

Educational Activity

Giorgi Chogoshvili started his educational activity immediately after finishing his post graduate studies. During the Second World War he was teaching at Gori, Kutaisi, Sukhumi Pedagogical Institutes. His role was especially important at Tbilisi State University, where in 1965 he founded a course "Major Structures of Algebra and Topology" – one of the first courses in the Soviet Union. He led the course himself for decades.

It should be especially noted that Giorgi Chogoshvili was the founder of both Department of Algebra and Geometry at Tbilisi State University and the Department of Algebra and Topology at A. Razmadze Mathematical Institute of the Georgian Academy of Sciences - providing new generations of scientists. Many representatives of these schools, prominent scientists are working in various universities and scientific centers in Georgia and abroad, such as: Universities of Cape Town (South Africa), Leicester (Great Britain), San-Francisco, North Carolina (USA). Representatives of Giorgi Chogoshvili's School are often considered as leaders in their field. Among them are Humboldt Fellows, Members of various International Scientific Societies and Institutions (Max-Planck Institute in Germany, International Center of Theoretical Physics in Italy, American Mathematical Society). They have received various grants from international scientific foundations such as INTAS, ISF, CRDF, Marie Curie Foundation etc.

Academician Nodar Berikashvili,
Professor Tornike Kadeishvili

Academician Giorgi Chogoshvili's Activity in the Committee of Secondary and Higher Education Institutions

Giorgi Chogoshvili headed the Secondary and Higher School Commission of the Georgian Academy of Sciences from the very first day of its foundation.

The commission regularly collected from the academy institutions unused laboratory equipment suitable for the educational purposes. The central library as well as libraries of the academy institutions were supplying to commission publications, which were sorted and delivered to the appropriate schools. Special attention was paid to schools from rural regions of Georgia. For example such schools involved secondary schools of Mestia, Ifari and Latali (Svaneti), Bugeuli (Racha), Argvetha (Imereti), Lagodekhi, Kakhi etc. Each Year commission was reviewing all support provided by the academy institutions to the secondary and higher schools and the reports were published. The commission was peer-reviewing all the secondary school textbooks. For this purpose the reviewers were chosen from the appropriate academic departments. In order to give them the opportunity to compare the level of the national schoolbooks with the international level, the commission was purchasing for them with the best European and US textbooks. G.Chogoshvili's message was the following: "Dear colleagues, each of you experienced the great dissatisfaction with the existing schoolbooks when you were asked for help with their homework by your children and grandchildren. Now you have a chance to express your dissatisfaction: please review these textbooks from all points of view, compare with foreign books and write your reports". The reviews were being discussed publicly and sent to Ministry of Education. The whole process wasn't very informal.

Another direction was the work with the technological colleges. Much was done to improve the studying laboratories and workshops, to help with the trainings of the teachers and engineers, to implement the most modern methodology. The college students were sent in the academy institutes for the study and work placements, for example to laboratories

of the Institutes of: Physics, Cybernetics, Control Systems, to the archaeological site of Vani, restoration of the Shio-Mgvime monastery etc. One more direction of the commission's activity was the foundation of the publication series "Academy for School" followed by many publications in general education and auxiliary schoolbooks.

Professor Mikheil Balavadze

Academician Giorgi Chogoshvili's Lexicographical Activity

In the second half of the 20th century, the commission (led by Academician Giorgi Chogoshvili) established on the basis of Andrea Razmadze Mathematical Institute was commissioned to compile and translate into Georgian the mathematical terms that had been emerged in foreign languages.

The resolution was adopted by the Georgian government: broad terminology commissions should have been created in mathematics and economics. Since 1963, for a long time, Chogoshvili had been the Chairman in the Commission of mathematical terminology and the one member position was free. Four young fellows worked on this position. They had to extract mathematical terms in English, French, German, Italian and Russian Languages from the books selected by the chairman. The continued for ten years.

In 1973, the Commission for the development and establishment of mathematical terminology consisting of more than 30 members was created. The work was carried out in stages. Each member of the Commission covered his/her field and prepared cards indicating the Georgian mathematical terms. The cards themselves were gathered at the Secretary of the Commission and dispatched to different groups of specialists at various institutions and laboratories.

Works on the returned lexical material were continued at Mathematical Institute where the six-language cards were prepared. There were cases when the work on one term required several meetings, for example: Russian term - внутренность (внешность) множества – internal (external) set. Very frequently it was necessary to determine the primary use of the term, which was given the priority versus the Russian term (for example “скрещивающиеся прямые”). The majority of the commission members stayed away from such a hard work – “illness” of the previous commissions repeated in this case.

G. Chogoshvili periodically reported the progress on sessions of Georgian Mathematical Union about the progress of the commission.

In 1996 the department of Terminology of the Institute of Linguistics (of the Georgian Academy of Sciences) joined this activity.

The prepared material was published in 1997, it was a abridged (2500 terms) six-language "Georgian - English - Italian - French - German - Russian Mathematical Dictionary". "Russian-Georgian Dictionary" with 40000 terms was published in 2010. The 459-page dictionary contains a lot of new terms, lots of old terms are defined and specified in accordance with the Georgian language standards.

Professor Omar Dzagnidze

Translators: Professor Tornike Kadeishvili
Professor Mikheil Balavadze
Inga Narindoshvili

გიორგი ჭოდოშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები

- 1914 წ. 20 დეკემბერს დაიბადა დაბა საჩხერეში.
- 1920 წ. შევიდა ქუთაისის მე-5 შრომის სკოლაში.
- 1926–1930 წწ. სწავლობდა თბილისის I საცდელ–საჩვენებელ შრომის სკოლაში.
- 1931–1932 წწ. თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკა–მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტია.
- 1932–1936 წწ. სწავლობდა მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა–მათემატიკის ფაკულტეტზე.
- 1936–1939 წწ. მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტია.
- 1939 წ. მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტის ასისტენტია.
- დაიცვა დისერტაცია თემაზე „О поверхностях уровня и областях меньших значений функции, заданной на ограниченном многообразии“ და მიენიჭა ფიზიკა–მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.
 - მოსკოვის მათემატიკური საზოგადოების წევრია.
- 1939–1943 წწ. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტია.
- 1939–1998 წწ. მუშაობდა თბილისის ა. რაზმადის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.
- 1941–1942 წწ. გორის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტია.
- 1943–1947 წწ. სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტია.
- 1945 წ. ვ. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „О соотношениях двойственности в топологических пространствах“.
- 1946–1946 წ. მიენიჭა ფიზიკა–მათემატიკური მეცნიერების დოქტორის წოდება.

- დაჯილდოვდა მედლით „1941–1945 წწ. დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“.
- მიენიჭა პროფესორის წოდება.
- 1946–1998 წწ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალგებრისა და გეომეტრიის კათედრის გამგეა.
- 1947 წ. დაჯილდოვდა საპატიო ნიშნის ორდენით.
- 1949 წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალგებრისა და გეომეტრიის კათედრაზე დააარსა სემინარი ალგებრულ ტოპოლოგიაში.
- 1953 წ. დაჯილდოვდა მედლით „მამაცური შრომისათვის“.
- 1955 წ. აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.
- 1960 წ. აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.
- 1961 წ. დაჯილდოვდა ლენინის ორდენით.
- 1962–1998 წწ. თბილისის მათემატიკის ინსტიტუტის ალგებრისა და გეომეტრიის განყოფილების გამგეა.
- 1966 წ. მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.
- 1975 წ. დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.
